საქართველოს განათლების და
მეცნიერების სამინისტრო

შპს მზეკაბანი 2

416306143

მის: 3700, ქ. რუსთავი, გ. ნიკოლაძის ქ. 16ა

ელ.ფოსტა: mzekabani@mail.ru

tel:(0341) 24 19 94

Ministry of Education and Science
GEORGIA

LTD "Mzekabani 2"

416306143

3700 Rustavi #16a g.nikoladze street.

Email : mzekabani@mail.ru

Tel: :(0341) 24 19 94

თარიღი 01.11.2024

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/106

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებოს პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის **შესაბამისად**

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დანართი #1 შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დირექტორის 2023 წლის 7 სექტემბრის N2/3ა ბრძანება;
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. დაევალოს სკოლის ადმინისტრაციულ საკანცელარიო საქმეთა და IT მენეჯერს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება სკოლის ვებ გვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

ზელა გოცირიძე
დირექტორი

დანართი 1
დამტკიცებულია
შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის
დირექტორის 2024 წლის პირველი ნოემბრის N01/106 ბრძანებით

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა

2024 წელი

თავი I. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა

მუხლი 1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საერო სკოლა მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის (შემდგომ - სკოლა) ადამიანებისა და პროცესებისუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანია:

ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;

დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

მუხლი 2. რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში

1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანება;
3. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
4. „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება;
5. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილება;
7. „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანება;
8. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება;
9. „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია;
10. „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილება;

მუხლი 3. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული

1. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სკოლის დირექცია
2. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი;

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია და სკოლის ეკონომ მენეჯერი.

მუხლი 4. უფლებამოსილი პირისათვის წასაყენებელი მოთხოვნები

უფლებამოსილი პირად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, იცის სახელმწიფო ენა, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მუხლი 5. ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ვალდებულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განათავსოს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112);

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი – 2 200 220;

გ) სკოლის ეკონომ მენეჯერი მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი: 568808745 ;

დ) სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი 08 00 00 00 88;

ვ) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481.

2. სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 6. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

1. სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია:

ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;

ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ;

გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;

დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

2. მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია სკოლამ შეიძლება აწარმოოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე:

ა) დისკუსიების/დებატების მოწყობით;

ბ) საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვით;

გ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვით;

დ) სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებით;

ე) საკლასო/სასკოლო თეატრალური წარმოდგენების გამართვით;

ვ) ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით;

ზ) როლური თამაშების გამართვით;

თ) სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით (მაგ: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული);

ი) მართლწესრიგის ოფიცერთან ან/და უბნის ინსპექტორთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიის/სამართლის/სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ან/და მაგისტრანტებისა და მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით;
ლ) შესაბამის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით.
3. სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;
ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;
ზ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.
4. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, სკოლა უფლებამოსილია:
ა) მიმართოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს (სამმართველოს);
ბ) მოიწვიოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიის/სამართლის/სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ან/და მაგისტრანტები;
გ) მოიწვიოს მართლწესრიგის ოფიცერი ან/და უბნის ინსპექტორი;
დ) მოიძიოს ღონისძიების ორგანიზატორი საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.
5. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიის სახეები არ არის ამომწურავი და სკოლა უფლებამოსილია თავისი ინიციატივით განახორციელოს ისეთი ღონისძიება, რომელიც პასუხობს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს და არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში.
6. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

მუხლი 7. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. სკოლას გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
2. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი;
3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა;
4. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით.

მუხლი 8. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. სკოლებში არსებობს ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეაგირების ერთგვაროვანი მექანიზმი;
2. სკოლას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას.
3. სკოლა იყენებს კრიზისებზე (მათ შორის მოსწავლეებს შორის ძალადობაზე, ბულინგზე) რეაგირების ეფექტიან მექანიზმს.

მუხლი 9. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. სკოლაში ყოველდღიური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნებია:

ა) მტვრის გადაწმენდა მაგიდების, ტუმბოების, თაროების, კარადების, ფანჯრის რაფების და სხვა, არაუმეტეს 2 მ-ის სიმაღლეზე არსებული ზედაპირებიდან.

ბ) სარკეებისა და შუშის ზედაპირების წმენდა (გარდა ფანჯრებისა);

გ) მტვრის გადაწმენდა სკამებიდან და სხვა ავეჯიდან;

დ) მტვრის მოცილება, იატაკიდან, ხალიჩებიდან, რბილი საფარიდან, რბილი ავეჯიდან, პლინტუსებიდან; ლაქებისა და წებოვანი სუბსტანციების (საღეჭი რეზინი, პლასტილინი და სხვ.) მოცილება;

ე) მტვრის მოცილება ჩამრთველებიდან, დამაგრძელებლებიდან, კომპიუტერებიდან;

ვ) კარის ბლოკების, კიბის უჯრედებისა და ბაქნების დასუფთავება. კარის სახელურების, ჩამრთველების, კიბის მოაჯირებისა და ყველა სხვა იმ ზედაპირის წმენდა, რასაც ხშირად ეხებიან ხელით;

ზ) ნარჩენების მოცილება სანაგვე ურნებიდან და კალათებიდან, ჩასაფენის შეცვლა სანაგვეებში;

მყარი, ნახევრადმყარი და რბილი იატაკების დასუფთავება მტვერსასრუტით, გამოგვა, რეცხვა, იატაკის მასალისათვის შესაბამისი საშუალებებით დამუშავება (სოდის, საპნის ან სინთეზური სარეცხი საშუალებების გამოყენებით).

თ) კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლების წმენდა არაუმეტეს 1 მ სიმაღლეზე, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება (ჟანგის, შარდის და წყლის მინერალური ნადების მოცილების ჩათვლით), დეზოდორაცია;

ი) შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე კარის ბლოკისა და კიბეების წმენდა, დაგვა-დასუფთავება, ნაგვის გატანა და ურნებში საფენის ჩაფენა, მისასვლელი ბილიკების სველი წესით დამუშავება;

კ) დასალაგებელი ინვენტარის რეცხვა და მომზადება შემდეგი სამუშაო დღისთვის.

2. ყოველკვირეული დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნებია:

ა) ყველა იმ პუნქტი, რომელიც გათვალისწინებულია ყოველდღიური დასუფთავების სქემით;

ბ) ყველა ზედაპირის დასუფთავება არაუმეტეს 3მ სიმაღლეზე;

გ) ავეჯისა და ფერადი ლითონისაგან დამზადებული ინტერიერის ელემენტების გაპრიალება;

დ) მტვრის მოცილება ჩარჩოებიდან (შუშის გარდა), ლაქების მოცილება ტიხრებიდან,

ე) ქსოვილის ზედაპირების და რბილი ავეჯის ვაკუუმ-წმენდით დამუშავება;

ვ) მტვრის მოცილება დეკორატიული ეკრანებიდან, დეკორატიული გაფორმების სხვა ელემენტებიდან;

ზ) სანაგვე ურნებისა და კალათების რეცხვა და დეზინფიცირება;

თ) ზედაპირების რეცხვა და დეზინფექცია არაუმეტეს 3 მ სიმაღლეზე;

ი) კერამიკული ფილებითა და ხით მოპირკეთებული კედლების პოლირება/გაპრიალება სპეციალური საშუალებებით;

კ) სკოლის შენობის გარე ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე:

ლ) კარის ბლოკისა და კიბეების, სპორტული და სათამაშო მოედნების დაგვა-დასუფთავება, ურნების დაცლა, მათი რეცხვა-დეზინფექცია და ნაგვის გატანა, მისასვლელი ბილიკების სველი წესით დამუშავება;

მ) შუშის ზედაპირების, აბრებისა და ფირნიშების, ტროტუარების და გარეთ დამონტაჟებული მოსაცდელი სკამების წმენდა.

3. ყოველთვიური და გენერალური დასუფთავებისას სტანდარტული მოთხოვნებია:

ა) ყველა იმ პუნქტის მიხედვით სამუშაოები, რომელიც გათვალისწინებულია ყოველდღიური და ყოველკვირეული დასუფთავების სქემით (გამოიყენებული უნდა იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები);
ბ) კედლის და ჭერის გამანათებელი საშუალებების შუშების წმენდა შიგნიდან და გარედან, ნებისმიერ სიმაღლეზე;
გ) კედლებსა და ჭერზე განთავსებული შემწოვ-გამწოვი სავენტილაციო და გათბობა-გაგრილების სისტემის ცხაურებიდან მტვრის მოცილება;
დ) კომპიუტერების, ორგტექნიკის, საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის, ჟალუზების, რბილი ავეჯის, ხალიჩებისა და რბილი საფარის წმენდა;
ე) ფანჯრების წმენდა შიგნიდან და გარედან;
ვ) იატაკებზე მოვლის საშუალებების დატანა (საპრიალებელი, კონსერვაციის, დამცავი, მაკრისტალებელი ნივთიერებების გამოყენებით);
ზ) სამზარეულოს აღჭურვილობის (ქურა, მაცივარი, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, მიკროტალღური და საცხობი ღუმელები, სხვა ელექტროსაქონლის და აპარატურის) წმენდა და დეზინფექცია.
თ) შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე:
ი) კარის ბლოკისა და კიბეების, სპორტული და სათამაშო მოედნების დაგვა-დასუფთავება, ურნების დაცლა, მათი რეცხვა-დეზინფექცია და ნაგვის გატანა, მისასვლელი ბილიკების სველი წესით დამუშავება;
კ) შუშის ზედაპირების, აბრებისა და ფირნიშების, ტროტუარების და გარეთ დამონტაჟებული მოსაცდელი სკამების, ფასადის,საჩრდილობელი ჟალუზებისა და მარკიზების, დეკორატიული ელემენტების წმენდა, მიუხედავად სიმაღლისა;
ლ) ფანჯრებისა და შუშის კედლების სრული წმენდა შიგნიდან და გარედან, მიუხედავად სიმაღლისა;
მ) ჩამდინარე წყლებისა და საკანალიზაციო კოლექტორის ცხაურების, სახურავიდან ჩამდინარე წვიმის წყლის ღარების წმენდა.
4. სკოლის ტერიტორიის დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება კვირის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ. მონიტორინგის განხორციელება დასტურდება თანდართულ ცხრილში მონიტორინგის განმახორციელებლის ხელმოწერით. მონიტორინგის განმახორციელებლად განისაზღვრება მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი.

მუხლი 10. ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები
1. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი.
2. სკოლაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ.
3. დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას.
5. წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.